



პროკრედიტ ბანკი

პროკრედიტ ეკო

სარჩევნების მართვა

საინფორმაციო ბროშურა, 2020 წლის მ-3 კვარტალი

www.procreditbank.ge

ნარჩენების მართვა

მსოფლიო მასშტაბით, წელიწადში 2.01 მილიარდი ტონა მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნება, რომელიც ასევე ცნობილია როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენი. (შინამეურნეობებისა და ოფისების მიერ წარმოქმნილი). ნარჩენების საშუალო რაოდენობა ერთ ადამიანზე დღეში 0,11-დან 4,53 კგ¹-მდე მერყეობს. ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის, გლობალური ნარჩენების რაოდენობა ყოველწლიურად 3.40 მილიარდ ტონამდე გაიზრდება. ეკო-საინფორმაციო ბროშურაში არსებული ინფორმაცია კონკრეტულად ამ ტიპის ნარჩენებს ეხება.

განვითარებულ ქვეყნებში ნარჩენების წარმოქმნა ერთ სულ მოსახლეზე ძალიან მაღალია (მსოფლიო ნარჩენების 34% ან 683 მილიონი ტონა). თუმცა

განვითარებულ ქვეყნებში, ნარჩენების წარმოქმნა და შეგროვება ურბანული ტიპის დასახლებებში, მუნიციპალიტეტებში ხდება სადაც ნარჩენების შეგროვების სისტემა მნიშვნელოვნად უფრო მოწესრიგებულია, ვიდრე სოფლებში.

მსოფლიო ბანკის 2018 წლის მონაცემებით², ნარჩენების შეგროვების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ჩრდილოეთ ამერიკის (100%) და ევროპის/ცენტრალური აზიის (90%) რეგიონებში ფიქსირდება, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - სამხრეთ აზიისა და აფრიკის სუბ-საჰარის რეგიონებში (44%). ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე ნაჩვენებია ყოველწლიურად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა გამოსახული ტონაში.




წყარო: მსოფლიო ბანკი (2018 წ.), <https://www.worldbank.org/en/news/infographic/2018/09/20/what-a-waste-20-a-global-snapshot-of-solid-waste-management-to-2050>

კრიტიკულია ნარჩენების სათანადო მართვის საკითხი განვითარებად ქვეყნებში, სადაც ნარჩენების 90%³-ზე მეტს არაკონტროლირებად ნაგავსაყრელებზე ათავსებენ ან/და წვავენ. რაც ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს იწვევს. მსოფლიოში მუნიციპალური ნარჩენების მინიმუმ 33%⁴ მართვა ეკოლოგიურად უსაფრთხო გზით არ ხდება. სწორედ ამიტომ, ნარჩენების მართვა გლობალური მასშტაბით სულ უფრო აქტუალური ხდება.

1. მსოფლიო ბანკი (2018 წ.), https://datatopics.worldbank.org/what-a-waste/trends_in_solid_waste_management.html#:~:text=The%20world%20generates%202.01%20billion,from%200.11%20to%204.54%20kilograms
 2. მსოფლიო ბანკი (2018 წ.), რა არის ნარჩენები 2.0: მყარი ნარჩენების მართვის გლობალური სურათი 2050 წლამდე.
 3. მსოფლიო ბანკი (2019 წ.), <https://www.worldbank.org/en/topic/urbandevelopment/brief/solid-waste-management>
 4. მსოფლიო ბანკი (2018 წ.), https://datatopics.worldbank.org/what-a-waste/trends_in_solid_waste_management.html#:~:text=Worldwide%2C%20waste%20generated%20per%20person,tonnes%2C%20of%20the%20world's%20waste

ნარჩენების მართვის იერარქია

ცირკულარული ეკონომიკის შექმნა, რაც გულისხმობს მოხმარებული პროდუქტის ხელახლა გამოყენებას, მისი გადამუშავებისა და აღდგენის პროცესების შემუშავებას. ეს შესაძლოა წარმოქმნილი ნარჩენების მზარდ რაოდენობასთან გამკლავების საშუალება იყოს და ნარჩენებთან დაკავშირებულ პრობლემებს მინიმუმამდე დაიყვანს. წარმოდგენილი დიაგრამა გვიჩვენებს ნარჩენების სათანადო მართვის იერარქიას, რომელიც უნდა გამოიყენებოდეს ნარჩენების წარმოქმნის ყველა დონეზე (საყოფაცხოვრებო, საწარმოების, ქვეყნების და ა.შ. დონეებზე).




წყარო: ევროკომისია (2019 წ.), <https://ec.europa.eu/environment/waste/framework/>

რა არის საკვების ნარჩენები

საკვების ნარჩენები, დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია. შინამეურნეობებში წარმოქმნილი ნარჩენების დაახლოებით 44%-ს საკვების ნარჩენები წარმოადგენს, რაზეც ყველაზე დიდი წილი მოდის (იხ. ქვემოთ გრაფიკული გამოსახულება).

მსოფლიო მასშტაბით, წარმოებული საკვების 1/3-ზე⁵ მეტი (33-55%) არ გამოიყენება საკვებად. საკვების ნარჩენები გარემოზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს შემდეგ ნაგავსაყრელზე გადაყრილი საკვები ნარჩენები ღვება, შედეგად წარმოქმნება სათბური გაზი, რომელიც მეთანის სახელწოდებით არის ცნობილი. მეთანი უფრო მეტად ტოქსიკურია, ვიდრე ნახშირორჟანგი⁶ (საკვების ნარჩენებზე სათბურის გაზების დაახლოებით 10% მოდის). საკვების წარმოება დიდი რაოდენობით რესურსს საჭიროებს (მაგალითად, მორწყვა, მოსავლის აღება, ტრანსპორტირება და შეფუთვა) და მისი არარაციონალურად გამოყენება არის მნიშვნელოვანი დანაკარგი.



პროგრესიტი ჯგუფი ორგანიზაციაში დანერგილი ნარჩენების მართვის სისტემით მოუწოდებს თავის თანამშრომლებს ნარჩენების სეპარაციისა და გონივრულად განკარგვისაკენ.

გარდა ამისა, ჩვენ ვცდილობთ მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ნარჩენების მართვის კომპანიებს, რომლებსაც შეუძლიან დიდი წვლილი შეიტანონ ნარჩენების შეგროვებასა და სათანადო დაგამუშავების პროცესში. 2020 წლის აგვისტოს მონაცემებით, ჩვენს პორტფელში არსებული 60-ზე მეტი კლიენტი ჩართულია ნარჩენების პრევენცია, მდგრად მართვასა და გადამუშავებაში და მათი საერთო სასესხო დავალიანება დაახლოებით 15 მილიონ ევროს შეადგენს.

უფრო მეტიც, ჩვენი მიზანია წავახალისოთ კომპანიები, რომელთა საქმიანობას ნარჩენების მართვა წარმოადგენს გააკეთონ ინვესტიცია უახლეს მანქანა-დანადგარებსა და ტექნოლოგიებში, რაც თავის მხრივ გაზრდის რესურსეფექტურობას და შეამცირებს საერთო დახარჯებს.

5. Olio (2020 წ.), <https://olioex.com/food-waste/the-problem-of-food-waste/>
 6. WWF (2020 წ.), <https://www.worldwildlife.org/stories/fight-climate-change-by-preventing-food-waste#:~:text=Today%2C%20an%20estimated%20one%2Dthird,the%20world%20goes%20to%20waste.&text=When%20we%20waste%20food%2C%20we,more%20potent%20than%20carbon%20dioxide.>

რჩევაები, თუ როგორ შეიძლება საკვების ნარჩენების შემცირება

თუ ჩვენ ცოტა ხნით მაინც დავფიქრდებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიურად წარმოქმნილი უზარმაზარი რაოდენობის ნარჩენებზე, მივხვდებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, თუნდაც როგორც ფიზიკური პირებისთვის, დავიწყოთ ჩვენ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების შემცირება.

იცოდით, რომ წარმოქმნილი ნარჩენების უდიდესი წილი გამოუყენებელი საკვების ნარჩენებზე მოდის?

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ შეგვიძლია თითოეულ ჩვენგანს შევამციროთ ყოველდღიურად გადაყრილი საკვების რაოდენობა და ამავდროულად, უფრო მდგრადი გარემოს შექმნას შევუწყოთ ხელი.

იყიდეთ მხოლოდ იმდენი, რამდენიც გჭირდებათ



ბევრი ადამიანი იმაზე მეტ საკვებს ყიდულობს, ვიდრე რეალურად სჭირდება. იმპულსური ყიდვის თავიდან აცილების მიზნით, შეადგინეთ ყოველკვირული საყიდლების სია. ამ გზით, თქვენ მხოლოდ იმას იყიდით, რაც ნამდვილად გჭირდებათ და რასაც ნამდვილად გამოიყენებთ.

საკვები სწორად შეინახეთ



საკვების არასათანადო შენახვის პირობების გამო, შეიძლება მოგიწიოთ საკვების გადაყრა. გაარკვიეთ, თუ როგორ უნდა შეინახოთ საკვები სწორად, რათა ხილი და ბოსტნეული, ნაადრევად არ დამწიფდეს.

გახდით კრეატიული სამზარეულოში




საჭმლის მომზადება არ ნიშნავს მუდმივად ერთიდაიგივე რეცეპტის გამოყენებას. კერძების ახლებურად მომზადება შეიძლება საკვების ნარჩენების ან გამოუყენებელი საკვების სხვა მიზნით გამოყენების შესანიშნავი საშუალება იყოს. ნუ შეუშინდებით სამზარეულოში ექსპერიმენტების ჩატარებას იმ საკვები რესურსების გამოყენებით რაც გაქვთ.

გაეცით საკვები, საჭიროების შემთხვევაში



თქვენს ქალაქში, დასახლებაში მოძებნეთ ისეთი ინიციატივები, რომლის ფარგლებშიც შეგიძლიათ საკვების გაცემა, რათა ამ გზით საკვები მისცეთ მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება.



საკვების ნარჩენების შემცირებით, თქვენც სარგებლობთ და გარემოც, რადგან:

- ზოგავთ ფულს;
- ამცირებთ ნახშირბადის გამოყოფას და ნაგავსაყრელებიდან გამოყოფილ სხვა ემისიებს;
- ზოგავთ ენერჯიას და რესურსებს. მაგალითად, წარმოებისა, ტრანსპორტის და დაბინძურების, პრევენციის გზით.

პროგრესიტი ბანკი, საქართველო

გარემოზე ზრუნვა არა მხოლოდ იმიჯის ნაწილი, არამედ ჩვენი ყოველდღიურობაა.

ხუთ წელზე მეტია, რაც პროგრესიტი ბანკში დანერგილია ნარჩენების მართვის პოლიტიკა. შედეგად, გაზრდილია მოხმარებული რესურსის ეფექტურობა და შემცირებულია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება.

ბანკის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები მოიცავს ყველა ოფისში ქალაქის, პლასტმასის, მინის, ალუმინის და ელექტრონული ნარჩენებისთვის სპეციალური ურნების განთავსებას, გამოყენებული ელემენტების, კატრიჯების და სხვა სახიფათო ნარჩენების სათანადო მართვას. თანამშრომლების სისტემატურ ტრენინგებს აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვნების გაცნობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით. სპეციალური ინფორმაციული მანიშნებლების განთავსების ყველა მომსახურების ობიექტზე.

ბანკმა ეფექტური გამოყენება მოუძებნა წვიმის წყალსაც. ბანკის სათაო ოფისში 2018 წლიდან ხორციელდება წვიმის წყლის შეგროვება, სათანადო დამუშავება და მისი ტექნიკური დანიშნულებით გამოყენება.

გარდა შიდა აქტივობებისა, ბანკი დიდ ყურადღებას აქცევს კლიენტებში გარემოსადმი მეგობრული ქცევის ჩამოყალიბებას. ბანკი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით პროფესიონალურ კონსულტაციებს უწევთ მათ, საერთაშორისო პრაქტიკის უზიარებს. შედეგად, ბანკის მომხმარებლები არამარტო ენერგო და რესურს ეფექტური ინვესტიციებით ახდენენ გარემოზე დადებით ზეგავლენას, არამედ ნარჩენების სათანადო მართვასაც სათანადო ყურადღებას აქცევენ.